IV თავი

სტუდენტის სწავლის საფასურთან დაკავშირებული შეღავათები ბსუ-ში

(განახლებული რედაქცია - აგვისტო, 2024 წ)

ბსუ-ში სწავლის საფასურთან დაკავშირებული შეღავათების მინიჭებასთან დაკავშირებული რეგულაცია განსაზღვრულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესით"** (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 3**) და ,,ბსუ-ში **სასწავლო სოციალური პროგრამის** ,,სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" განხორციელების წესით" (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 8**).

ბსუ-ში სწავლის საფასურში შეღავათი ენიჭება სრული ოდენობით (100 %-ით, მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობის ფარგლებში):

ა) ბსუ-ს საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტს, რომელიც არის <u>მშობლების მზრუნველობას მოკლებული</u> (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილი);

ბ) <u>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე</u> საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სტუდენტისათვის სწავლის საფასურში ზემოაღნიშნული **შეღავათის მინიჭების თაობაზე** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ბრძანება გამოიცემა** <u>სტუდენტის განცხადებისა</u> და მის მიერ <u>შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში:</u>

ა) მშობლების მზრუნველობას მოკლებული პირის შემთხვევაში (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილი ან პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება) - <u>სტუდენტის დაბადების მოწმობის, მშობლების გარდაცვალების მოწმობების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები;</u>

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში - <u>შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა.</u>

ბსუ-ს სტუდენტს სწავლის საფასურში შეღავათი ენიჭება:

ა) **მიმდინარე სემესტრიდან** - თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

ბ) **მომდევნო სემესტრიდან** - თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სამხედრო მოსამსახურისა და მისი ოჯახის წევრის (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების) სტუდენტს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით ენიჭება შეღავათი (თავისუფლდებიან) **ბსუ-ში სწავლის სემესტრული საფასურის 50 %-ის ოდენობით (**სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა).

ბსუ-ს სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით **შეღავათები შეიძლება მიენიჭოთ** წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში **სასწავლო სოციალური პროგრამის** ,,სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 8**) შესაბამისად, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხვა გადაწვეტილების ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

გარდაცვალების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეწყვეტილი პირის სახელზე არსებული სწავლის საფასურის დავალიანება (გარდაცვალების დროისათვის არსებული) მოიხსნება/ჩამოიწერება, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში სასწავლო/სამეცნიერო კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე მონაწილეობა შესაძლებელია დაფინანსდეს არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, ბსუ-ს პროგრამული ბიუჯეტის (შესაბამისი ქვეპროგრამის) ფარგლებში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.